ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 8 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

პარასკევი, 8 ოქტომბერი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

№ 2633
ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 373.

6 ოქტომბერს სოფ. სარაყამიშში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომანდირი 156 ელისავეტოპოლის პოლკისა პოლკოვნიკი თავადი

მიხეილ ირაკლის ძე ციციშვილი,

რასაც მეუღლე მისი კნეინა **ლიუბა სვიმონის ასული ციციშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ. დაკრძალვა მოხდება 'შაბათ', 9 ამა ოქტომბერს სარაყამიშის სამხედრო სასაფლაოზედ. (1—341—1)

სვიმონ გივისძე, ნინა ნიკოლოზის ასული, პეტრე, გიორგი სვიმონის ძენი გვერდწითლები, ქუმასე გიორგის ძე მაღრაძე, თავადნი კონსტანტინე, თომა, პავლე, ანნა, და ნინო თომას ძენი და ასულნი ციციშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა გარდაცვალებულის პირველის შვილის, მეორეთა დის, მესამეს ცოლის დის და უკანასკნელთა დედის

კნეინა თამარა სვიმონის ასული ციციშვილისა

აგრეთვე განსვენება და დაკრძალვა **თავ. თომა კონსტანტინეს ძის ციციშვილისა** მოხდება სოფელ ხცისში წმ. ნიკოლოზის საკუთარ ეკკლესიაში კვირას, 10 ოქტომბერს დილის 10 საათზე. (2--342—1)

ხაზინის თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
პარასკევს, 8 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება **„კარმენი“** ოპერა 5 მოქ., მუს. ბიზესი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია-ეიხენვალდი, ნიკიტსკაია, პეტროვა-ზვანცევა და ხარიტონოვა; ბ-ნნი: სიკაჩინსკი, ობრაზცოვი, პორუბინსკი, ზელინსკი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე
9 ოქტ. „პიკოვაია დამა“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
ქერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დოქტორნი:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 0—11 საათ.
ლ. ი. კაზოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ალ. ი. ქიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიახამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
ი. ა. ზედგინიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ქ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. ზიდერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მოსინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბ-ნ მ. ხოჯოლდემსკი.—ხირურგია და ორტოპედია ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—2 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოჯოლდემსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფთათვის აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში [illegible] შეერთებით. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: ქუქია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (ქუქიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible] მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274

ექიმი
კ. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—9)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—5—19)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—28)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოის გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თე.—5.—18)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჯისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—19)

დ. ყვირილაში

14 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე, თეატრის დარბაზში დანიშნულია **ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის ბანკის** წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც უნდა აირჩეს ექვსი რჩევის წევრი: სამი გამგეობისა, სამი სარევიზიო კომისიისა და მათი ნაცვლები. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა. 3—5.—2)

საარტისტო საზოგადოების შენობაში პირველ-ხარისხოვანი რესტორანი
„ანონნა“
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი. ყოველ დღე დაუკრავს ცნობილი
რუმინელთა ორკესტრი
დღისით 2-დან 5-მდე, საღამოთი 9-დან 2 ს.-მდე.
სასტუმროს პატრონი **ი. ტ. ბონდარენკო.** (4—339—4).

ნაფიცი ვექილის თანაშემწე
ნ. ზ. ელიავა
გადავიდა:
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 35. (3—5—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 ოქტომბერი

ტოკიო, 6 ოქტომბერი („რეიტერი“). არც გუშინ და არც დღეს არავითარი მოხსენება არ მოსულა იაპონიის ჯარის მთავარ სარდლობიდან. აქა ფიქრობენ, სიწყნარის დროს, რომელიც მოჰყვა რუსების უნაყოფო იერიშებს 4 ოქტომბერს ღამე, რუსებმა თავიანთი ჯარი შეაგროვეს ნოძუსა და ოკუს არმიების წინაამდეგად. ის აზრია აქ, რომ გენერალი კუროპატკინი ამ ჟამად დიდ საგონებელშია თავის მარჯვენა ფრთის მდგომარეობით და ეხლა იმასა ცდილობს, დაიცვას უკან დასახევი გზა და დრო მოიგოს, რომ თავისი ჯარი მდინარე ხუნხეზე გადაიყვანოს. შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ რუსებმა ეხლა წინ წაიწიონ ან შეინარჩუნონ პოზიციები მდინარე შახესთან.—ცნობები იაპონელთა ზარალის შესახებ 27 სექტემბერს ჯერ სრული არ არის. სრული არ არის აგრეთვე ცნობები რუსთა ზარალის შესახებ. არ იციან ისიც, თუ იაპონელებმა რუსის რამდენი ზარბაზანი ჩაიგდეს ხელთ.

ლონდონი, 6 ოქტომბერი („რეიტერი“). ოკუს არმიიდან დეპეშით იუწყებიან 4 ოქტომბერს, რომ იაპონელებმა წინ წაიწიეს და მუკდენს სამხრეთიდან 10 მილის მანძილზე მიუახლოვდნენო. ხუნხეს სამხრეთით, 2 მილის მანძილზე, რუსებმა თავდასაცველი სიმაგრეები გამართეს. ფიქრობენ, რომ რუსები იქ გაუმაგრდებიან იაპონელებს. ბუნებრივი სიმაგრე იქ არ მოიპოვება. იაპონელები ამბობენ, უკანასკნელი ბრძოლა ყველა იმ ბრძოლაზე უფრო ძლიერი და ცხარე იყო, რომელიც დღემდე ვაკეზე მოხდაო. რუსის ჯარი შესდგებოდა პირველ, მეხუთე და მეექვსე კორპუსებისაგან. თავდასაცველი სიმაგრეები მხოლოდ ხელად გამართულ თხრილებისაგან შესდგებოდა.

მუკდენი, 6 ოქტომბერი. დილით მოვიდა ნამესტნიკი გენერალ კუროპატკინთან სათათბიროდ.

ფაკელბერგი, 6 ოქტომბერი. დილის 7 საათზე ბალტიის ესკადრის ორმა გემმა ჩრდილოეთისკენ გაიარა. ორი საათის შემდეგ ესკადრის სხვა გემებმაც გაიარეს. დანიის კრეისერიც ჩრდილოეთისაკენ წავა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 ოქტომბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა, სამხედრო და საზღვაო სამინისტროებმა დაადგინეს: შორეულ აღმოსავლეთში ომის მიუხედავად, სამხედრო ბეგრის მოსახდელად კენჭის ამოღების დროს წლეულს ძალაში იყოს მე-80, 82 და 84 მუხლები სამხედრო ბეგრის წესდებისა. ამას გარდა შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროებმა დაადგინეს: მიეცეს წლეულს გაწვეულთა შორის მესამე ხარისხის შეღავათი (ოჯახურ მდგომარეობით გამოწვეული) იმათ, ვინც წლოვანებით მომდევნოა იმ ძმებისა, რომელნიც სათადარიგო ჯარში მიიღეს ან ოპოლჩენიის რატნიკებად გაიწვიეს.

ხარბინი, 6 ოქტომბერი. დილის 5 საათსა და 40 წუთზე შახეს სადგური ჩვენ ხელში იყო. ჩვენმა ჯარმა უკუ აგდო იაპონელები, წავიდა მატარებელი სადგურის დასაჭერად და ლიანდაგის დასათვალიერებლად. ხმა დადის, რომ ჩვენებმა დაამარცხეს იაპონელთა მარჯვენა ფრთეზე ორი დივიზია და ტყვედ წამოიყვანეს ბევრი იაპონელიო.

ლონდონი, 6 ოქტომბერი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური დეპეშა: „ოიამა იუწყება: ორშაბათს იქითკენ, საითაც ჩვენი მარჯვენა არმიაა, რუსები, როგორც ეტყობა, ჯარს აგროვებდნენ. ეხლა პატარა რაზმები-ღა მოქმედებენ ამ მხარეს. რუსის ჯარი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევს. ცენტრის (ნოძუს) არმიის მხარეს რუსებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. დღეს ზარბაზნების ზანტი სროლაა მარცხენა (ოკუს) არმიისა და რუსებს შორის. ხან-და-ხან რუსები მოუხშირებენ ხოლმე სროლას“.

ბერლინი, 6 ოქტომბერი. ბრძოლის ველზე შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. ორივე მხარე ძალას იკრებს. გაზეთები დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს მეორე ესკადრის მოძრაობას. „ტან“-მა კოპენჰაგენელ კორესპონდენტისაგან დეპეშა მიიღო. კორესპონდენტი ატყობინებს: კოპენჰაგენსა და ვიბორგში იაპონიის ჯაშუშები აღმოაჩინეს. ამ ჯაშუშებს ყველგან რუსის პოლიცია სდევნის. დიდ ბელტში შენიშნეს საეჭვო გემები, რომელნიც უსათუოდ იაპონელთა დაქირავებულნი უნდა იყვნენ. დანიის გემები ყველას გაფაციცებით ადევნებენ თვალსაო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, სარწმუნო პირებისაგან გავიგე, რომ დიდ ოკეანის მეორე ესკადრა, ესპანიას რომ მიუახლოვდება, ორ ნაწილად გაიყოფა. ერთი ნაწილი სატრანსპორტო გემებით სუეცის არხზე წავა, მეორე სამხრეთ აფრიკას მოუვლის და ბოლოს ინდოეთის ოკეანეში დანიშნულ ადგილას ისევ შეერთდებიან. ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრაში შემდეგი გემებია: ჯავშნიანი გემები: „კნიაზ სუვოროვი“, „იმპერატორ ალექსანდრე III“, „ბოროდინო“, „სისოი ველიკი“, „ოსლიაბია“, და „ნავარინი“, კრეისერები: „ალმაზი“, „ჟემჩუგი“, „იზუმრუდი“, „ადმირალ ნახიმოვი“, „დიმიტრი დონსკოი“, „ოლეგი“, „ავრორა“ და „სვეტლანა“, 9 კონტრ-ნაღმიანი გემი და 10 სატრანსპორტო გემი.

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ: სიფრთხილის გულისათვის იაპონელებმა ძლიერ გაამაგრეს ლიაოიანი. მდინარე ტაიძიხე დააგუბეს ლიაოიანთან, წყალი ნაპირებიდან გადმოვიდა და არე მარე სულ წალეკა. თუ რუსები ლიაოიანამდე ჩავლენ, ეს წყალი მეტად გაუჭირვებთ საქმეს. („ნ.“)

ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს: იაპონელები მეტად გულ მაგარი ხალხია, გული არას დროს არ უტყდებათ; რაც უნდა მარცხი მოუვიდეთ, თავიანთ თავს დამარცხებულად არას დროს არ ჩასთვლიან. იაპონელები ამბობენ: „მხოლოდ სიკვდილი დაამარცხებს კაცსა, ისიც მარტო უშვილოსაო“. სანამ იაპონელებს პირში სული უდგათ, განუწყვეტლივ იბრძვიან. ეხლა რომ პოზიცია წაართვათ, ხელად მოტრიალდებიან და ისევ დაიბრუნებენ; გამარჯვების შემდეგ თითონ-კი უყვართ შესვენება, მაგრამ თუ მარცხი მოუვიდათ, მაშინვე იმის ცდას შეუდგებიან ხოლმე, რომ დაკარგული პოზიცია დაიბრუნონ...

ბრძოლა იანტაისთან. ბ. ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით ატყობინებს „რუსკოე სლოვო“-ს: რუსის მარცხენა ფრთის რაზმი (გენ. შტაკელბერგისა) მეტად მიუვალ პოზიციებს მიადგა. გზა და გზა ყველგან კედლისავით გორები და ფრიალო კლდეები იყო აყუდებული, ყველგან ვიწრო ხეობებით მოუხდა სიარული. როცა რუსები ხეობაში შედიოდნენ, იაპონელები აქეთ-იქით გვერდიდან თოფსა, ზარბაზანს და ქვებს უშენდნენ და დიდ ზარალს აძლევდნენ. რაზმი ერთის ულელტეხილის დასაჭერად მიდიოდა, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ ეს ულელტეხილი იაპონელებს ძლიერ გაემაგრებინათ. გარშემო გორები სულ აიღეს რუსებმა, ერთი მაღალი გორაც ჩაიგდეს ხელში, მაგრამ ზარბაზნები ველარ აიტანეს. იქნება როგორმე დიდის ზარალით აეღოთ კიდევაც ეს ულელტეხილი, მაგრამ იაპონელებმა გვერდიდან მოუარეს რუსის არმიას და გენ. შტაკელბერგის რაზმმა უკან დაიხია. იმის რაზმის ნაწილი გუშინ რუსის შუა ჯარს დაუახლოვდა და იაპონელების პირდაპირ დადგა... იაპონელები რუსის შუა ჯარსაც დაეცნენ. 30 სექტემბერს, ღამით, იაპონელები უცებ დაეცნენ კოზლოვისა და ვორონეჟის პოლკებს. რუსებმა უკან დაიხიეს, იაპონელებს არტილერიის მეცხრე ბრიგადის მეორე დივიზიონი დახვდათ წინა. დაიწყო საზარელი ბრძოლა. რუსის ზარბაზნები სამას ნაბიჯის მანძილზე ესროდნენ მტერსა; ამ ბრძოლის დროს გენ. რიაბინკინი სასიკვდილოთ დასჭრეს, დივიზიონის უფროსი სმოლენსკი მოჰკლეს, ბატარეის უფროსები ბაზანოვი და ავერკიევი მოჰკლეს და ლუნსკი დასჭრეს. ამ დივიზიონის აფიცრებიდან მხოლოდ ორი გადარჩა ცოცხალი. რუსის არტილერისტებმა ზარბაზნები იქვე დასტოვეს, მხოლოდ ყუმბარის ყუთები-ღა წაიღეს. დილის 7¼ საათზე იაპონელებმა ხელ-ახლად მოიტანეს საშინელი იერიში და კოზლოვის პოლკის მარცხენა ფრთე და ვორონეჟის პოლკი უკუ აგდეს. ვორონეჟის პოლკს აფიცრები მომეტებულ ნაწილად მოუკლეს და დაუჭრეს, ამიტომ პოლკმა ორი ვერსტი დაიხია უკან მახეპუსაკენ. მაგრამ იაპონელებმა მახეპუც ხელად დაიჭირეს...

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი კლიპოვი სწერს: რუსის მარცხენა ფრთეს (გენ. შტაკელბერგის რაზმს) დიდი ზარალი მოუვიდა. ბევრი აფიცერი მოუკლეს და დაუჭრეს. ბოლოს ზოგ როტას პრაპორშჩიკი უფროსობდა, ზოგს უნტერ აფიცერი.

იმავ გაზეთის კორესპონდენტი ლოდოჟენსკი სწერს: ციმბირის პირველ კორპუსის (გენ. შტაკელბერგის კორპუსის) დაჭრილი აფიცრები ამბობენ: იაპონელების ჯარი მეტად დიდის აღფრთოვანებით იბრძვისო. ხან მარტო სამი-ოთხი იაპონელი სალდათი გამოქანდებოდა ხოლმე რუსის სანგრებისაკენო. იაპონელებს მცირე უმნიშვნელო პოზიციებთანაც-კი მიწაში ნაღმები ჩაეწყოთ. აბა იფიქრეთ მნიშვნელოვანი დიდი პოზიციები როგორ-ღა ექნებათ გამაგრებულიო. („რ. ს.“).

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი სწერს, 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს გენ. კუროპატკინი თითონ წინამძღოლობდა რუსის ჯარს და პეტროვსკის პოლკი თითონ გაგზავნა იერიშის მისატანად. გენ. კუროპატკინი ერთს მაღალ გორაზე იდგა. ამ გორიდან ბინოკლით ვარჩევდით, რომ ოთხის ვერსტის მანძილზე იაპონელ აფიცრების ჯგუფი იდგა. იქვე ამომავალი მზის ბაირაღი იყო გაშლილი. ამბობენ, ეს თითონ გენ. კუროკი იყო თავის შტაბით, გორიდან ბრძოლას ადევნებდა თვალ-ყურსაო.

ფრანგული გაზეთები იუწყებიან: იაპონელებმა (გენ. კუროკიმ) ერთი რუსის რაზმი მოიმწყვდიეს ბენსიხუსთანაო. ამ რუსის რაზმში 5 ათასი კაციაო. („რ. ლ.“).

„ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, 29 სექტემბერს რუსის მარჯვენა ფრთეს (გენ. ბილდერლინგის კორპუსს) სულ მცირედ 32 ზარბაზანს წაართმევდნენ იაპონელებიო.

გერმანული გაზეთები სწერენ: გენ. კუროპატკინის გალაშქრება სამხრეთისაკენ დამარცხებით დასრულდა. ეხლა რუსის ჯარი მდინარე შახეზე გამაგრდება და როცა დაჭრილებსა და ქარავანს სულ ჩრდილოეთისაკენ გაისტუმრებს, თითონაც უკან დაიხევს, და ან მუკდენში გამაგრდება, ან ტელინში. („რ. ლ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: სხვა-და სხვა ცნობებიდან ჩანს, რომ გენ. კუროპატკინის პლანი ჩაფუშულა, თუმცა ისიცა ჩანს, რომ ჯერ ბრძოლა არ გათავებულა. მთაში ბრძოლის დროს იაპონელები თავიანთ არტილერიის შემწეობით იმარჯვებდნენ. ეხლა-კი ვაკეში რუსის შორს მსროლელ არტილერიას უნდა ეჯობნა. რუსის ჯარი 100 ვერსტის მანძილზეა გაფანტული და, რასაკვირველია, თანხმობით და ერთ პირად ვერ იმოქმედებდა; იაპონელების სამივე არმია-კი ერთპირადა და თანხმობით მოქმედებდა და იბრძოდა. რუსის სალდათები საკვირველ მამაცობას იჩენდნენ ბრძოლის დროს, მაგრამ საქმეს მაინც ვერა უშველეს-რა. „კრეუც ცაიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველი ასე ჰხსნის რუსების დამარცხებას: რუსის ჯარი ორ არმიად გაიყო და სამხრეთისაკენ გაილაშქრა; ორივე არმია ლიაოიანთან უნდა შეერთებულიყო. გენ. კუროპატკინი ჰფიქრობდა, აქაო და იაპონელებმა ლიაოიანი ძლიერ გაამაგრეს, ალბად, იქ გამაგრებულ პოზიციაზე არჩევენ ბრძოლას და რუსის ჯარს შეერთებას არ დაუშლიანო. ამის მაგივრად იაპონელები სიმაგრეებიდან გამოვიდნენ, თითონ მიიტანეს იერიში რუსის ჯარზე და გენ. კუროპატკინის პლანი მთლად ჩაფუშესო. („რ. ვ.“).

ამბობენ, რკინის გზის დასავლეთით გენ. ოკუს მარცხნივ გენ. პრინცი ფუშიმა მოქმედებს ორის დივიზიითაო. პრინცი ფუშიმა აქამდე პირველ დივიზიის უფროსად იყო და პორტ-არტურთან იბრძოდა. („ნ.“).

„ჰავასის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება, როცა რუსის ჯარი გენ. კუროკის არმიის პოზიციებს დაუახლოვდა, კუროკიმ პირველად თითქმის უბრძოლველად დაიწია უკან, მაგალითად ბანიუპუზასთან არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწია რუსებსაო. („ნ. დ.“).

როგორც ვიცით, ოკუს არმია 2 სექტემბერს ბრძოლის შემდეგ მდინარე ხუნხეს (ქალ. მუკდენი ხუნხეს ახლო მდებარეობს) 20 ვერსტის მანძილზე მიუახლოვდა. ახლა ვნახოთ, როგორ მოქმედებდნენ გენ. ნოძუსა და გენ. კუროკის არმიები. გენ. ნოძუს არმია გენ. ოკუსა და გენ. კუროკის არმიას შუა დგას, ამიტომ ცენტრის არმია, ანუ შუა არმია ჰქვიან. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. სწერს: „გენ. ნოძუს არმიამ 27 სექტემბერს იანტაიდან ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრა და რუსის შუა ჯარის მოწინავე რაზმს მდინარე შილიხეს გაღმა დაახვედრა. რუსებს აქ, მარშალ ოიამას ანგარიშით, 3 დივიზია ედგათ (სხვათა შორის, გენ. ზარუბაევის კორპუსი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე იგი 63 ათასი კაცი, მაგრამ გენ. კუროპატკინი, ალბად, მაშველ ჯარს გაუგზავნიდა გენ. ზარუბაევს. 28 სექტემბერს რუსის ჯარი ხელ-ახლად გავიდა შილიხეში და სოფელ ულიტაიძიმდე წაიწია. ღამით იაპონელებმა გენ. ზარუბაევის მარცხენა ფრთეს მოუარეს და რუსები მდ. შილიხეს გაღმა განდევნეს. 29 სექტემბერს გენ. ნოძუმ ხელ-ახლად მიიტანა იერიში რუსის შუა ჯარზე და, თუმცა ციმბირის პოლკებმა დიდი მამაცობა გამოიჩინეს, ნაშუადღევის 2 საათზე რუსის წინა პოზიციები მაინც იაპონელების ხელში გადავიდა; რუსის ჯარმა ყველგან უკან დაიხია და უმთავრეს პოზიციებზე დადგა მდ. შახეზე. როგორც ზოგიერთ ცნობიდან სჩანს, იაპონელებს რუსის შუა პოზიცია სინჩუანიც დაუჭერიათ; ასე რომ 30 სექტემბერს გენ. ნოძუც 20 ვერსტის მანძილზე მიუახლოვდა მდ. ხუნხეს. მარშალ ოიამას მოხსენებიდანა სჩანს, რომ გენ. ნოძუს 30 სექტემბერს 150 რუსი დაუტყვევებია. ალბად, რუსის შუა ჯარს საჩქაროდ დაუხევია მდ. შახეს გაღმა.

ამ დროს რუსის უმთავრესი ჯარი იანტაის ჩრდილოეთით იდგა, მდ. ხუნხედან 35—45 ვერსტის მანძილზე, ესე იგი 15—25 ვერსტით შორს იდგა გენ. ოკუსა და გენ. ნოძუს არმიებზე. გენ. ივანოვის კორპუსი და გენ. რენენკამფის დივიზია, 32 ათასი კაცი, 20 ვერსტით უფრო შორს იდგა ბენსიხუსაკენ, მუკდენიდან 65 ვერსტის მანძილზე. ასე რომ იაპონელების უმთავრესი ჯარი უფრო ახლო იყო მუკდენზე, ვიდრე რუსისა, ამიტომ გენ. კუროპატკინმა ბძანება გასცა, პოზიციები მდ. შახეზე მედგრად დაიცვეთ და იაპონელები წინ აღარ გაუშვათო, თორემ იაპონელები მუკდენის გზას ხელში ჩაიგდებდნენ და რუსის ჯარს მუკდენისაკენ აღარ გაუშვებდნენ.

გენ. კუროპატკინის უმთავრესმა ჯარმა გენ. კუროკის წინააღმდეგ გაილაშქრა. 3 კორპუსი იანტაის მაღაროებისაკენ წავიდა, ივანოვის კორპუსიც ბენსიხუსაკენ. ამ ჯარს გენ. კუროკი დასავლეთისაკენ უნდა განედევნა. მაგრამ 30 სექტემბერს რუსის ჯარმა აქედანაც უკან დაიხია. რაკი ოკუს არმიამ გაიმარჯვა და რუსის მარჯვენა ფრთე უკან დასწია, გენ. ნოძუც რუსის შუა ჯარს გარღვევას უპირობდა, რუსის მარცხენა ფრთესაც უკან უნდა დაეხია და დანარჩენ ჯარს დაახლოვებოდა. ასე რომ 30 სექტემბერს რუსის ჯარმა ყველგან უკან დაიხია და მდინარე შახეს გაღმა დადგა.

გენ. კუროპატკინის პლანი—გენ. კუროკის არმიის დასავლეთისაკენ განდევნა—ჩაიშალა. ეს ორის მიზეზის ბრალია. ჯერ ერთი რომ გენ. კუროკიმ უფრო ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია რუსის ჯარს, ვიდრე ელოდნენ. 29 სექტემბერს რუსის აღმოსავლეთის რაზმმა იანტაის ქედზე მხოლოდ ზოგიერთი სიმაღლე დაიჭირა, მაგრამ თითონ უღელტეხილები კი ისევ იაპონელების ხელში იყო. კუროკის მაშველი ჯარი მოუვიდა და 30 სექტემბერს ღამით იერიში მიიტანა რუსების მაგარ პოზიციაზე ტუმინლინის უღელტეხილთან და, როგორც მარშალი ოიამა იუწყებოდა, აიღო კიდევაც. გენ. ივანოვის კორპუსი ბენსიხუსაკენ წავიდა და იქ იაპონელების რაზმს დაეცა. გენ. კუროკის ბენსიხუში სულ 22 ათასი კაცი ჰყავდა, გენ. ივანოვსა და რენენკამფს 33 ათასი. რაკი მეტი ჯარი ჰყავდათ, გენ. კაშტალინსკი და რენენკამფი თამამად დაეცნენ იაპონელებს და გენ. კუროკს გზა მოუჭრეს მდ. ტაიძიხეს მარცხენა ნაპირას, მაგრამ რუსებმა ვერას გზით ვერ აიღეს ხუალინის უღელტეხილი ბენსიხუს ჩრდილოეთით, კუროკიმაც მაშველი ჯარი გაუგზავნა ბენსიხუს რაზმსა; იაპონელებმა გენ. ივანოვის კორპუსს უკან დაახევინეს და მერე თითონ მიიტანეს რუსებზე იერიში და ვითომ გენ. რენენკამფის რაზმს ტაიძიხეს მარცხენა ნაპირას გზაც მოუჭრეს. მაგრამ გენ. რენენკამფი, ალბად, სხვა გზით დაიხევდა, სოფელ მიცისთან ტაიძიხეში გავიდოდა და დალინის უღელ-ტეხილისაკენ გაემართებოდა. იქით მხარეს იაპონელებს არ უნდა ჰყავდეთ ჯარი. ამას გარდა გენ. კუროპატკინმა ერთი პატარა რაზმი უფრო შორსაც გაგზავნა გენ. კუროკის გზის მოსაჭრელად. ეს რაზმი სინცინტინიდან სამხრეთისაკენ წავიდა, საიმაძის გზაზე ციანჩანს დაეცა, მაგრამ ვერ აიღო.—იაპონელებმა უკუ აგდეს. ერთის სიტყვით რუსის აღმოსავლეთის რაზმმა ვერაფერი დააკლო გენ. კუროკს და ის ინტაის მთიდან ფეხი ვერ მოაცვლევინა. 29 სექტემბერს, როცა გენ. ნოძუმ რუსის შუა ჯარი გაარღვია მდ. შილიხეზე და გენ. ოკუმ რუსის მარჯვენა ფრთეს გვერდიდან მოუარა, გენ. კუროპატკინმა აღმოსავლეთის რაზმსაც უკან დაახევინა, რომ იაპონელებს გზა არ მოეჭრათ ამ რაზმისათვის". („რ. ვ.").

ახალი ამბავი

◆ ოფიციალურის ცნობებით, 3 და 4 ოქტომბერს **ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა** 16 კაცი, გარდაცვლილა 7 კაცი. თავრიზში ამ ბოლო დროს ძალიან გაძლიერებულა ხოლერა. ამ ქალაქში 25 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე მომკვდარა 3,500 კაცი. მარტო სამ ოქტომბერს ხოლერისაგან მომკვდარა 600 კაცი. შიდა რუსეთში სარატოვს გარდა ხოლერა სუსტად გაჩენილა სამარასა და ასტრახანის გუბერნიის სოფელ რახინკაში.

◆ როგორც ადმინისტრაციის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, თელავის მაზრაში წლეულს **ვერა ყოფილა კარგი მოსავალი.** მიზეზი გაზაფხულის წვიმები და ზაფხულის გვალვა ყოფილა. ხსენებულ მაზრაში წელს ისე ცოტა პური მოსულა, რომ მცხოვრებთ გამოსაკვებადაც არ ეყოფათ. პურის ფასმა აიწია ეხლავე: ტფილისიდან ჩატანილი ფქვილი თელავში ღირს 1 მან., 60 კაპ. ფუთი; ადგილობრივი ფქვილი—1 მან. 30 კაპ., ქერი—90 კაპ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა **ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად** დროებით დაამტკიცა ბ-ნი ჩიტაძე.

◆ გუშინ-წინ ბათუმიდან ტფილისს ჩამოვიდა და „ორიანტის" სასტუმროში ჩამოხტა **სახელმწიფო კონტროლერი** ინფანტერიის გენერალი **ლოპკო.** ლოპკო ამ დღეებში ბაქო-ბალაჯარის გზით პეტერბურგს მიემგზავრება.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ალდაშში მოხდა მებამბეთა კრება, რომელიც 5 ოქტომბერს დასრულდა. კრებამ, სხვათა შორის, ერთხმად სურვილი გამოსთქვა, შემოღებულ იქნას **კავკასიაში საერობო დაწესებულებანი.**

◆ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ **გორის მაზრის სამრევლო სკოლები** ორ რაიონად გაჰყო და ცალ-ცალკე მეთვალყურე დაუნიშნა. პირველ რაიონში ირიცხება: ორ-კლასიანი სკოლები—გორისა, იტრიისა და ცხის ჯვრისა; ერთ კლასიანი—გორის სამებისა, ბეკამისა, გომისა, გუჯარეთისა, ქვენატკოცისა, მოხისისა, პირისისა, სამთავისისა, სურამისა, ზრუისა, საღოლაშენისა, ურბნისისა, ქოვნიხევისა, ერთაწმინდისა, ბორჯომისა და ახალქალაქისა. დანარჩენი სკოლები მეორე რაიონში ჩაირიცხა.

◆ ოქტომბრის შუა რიცხვებში **ტფილისში ჩამოვა მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების** თავმჯდომარე გრაფინია უვაროვისა. აქედან გრაფინია დუშეთის მაზრაში გაემგზავრება ჭართალისა (ფასანაურიდან 10 ვერსის მანძილზე მდებარეობს) და ალევის სიძველეთა გამოსაკვლევად. მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოება დიდი ხანია აპირობს თურმე ამ სიძველეთა გამოკვლევას, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხა.

◆ ტფილისის საბჭოს ხმოსანმა მელიქ-კარაკოზოვმა გუშინ განცხადება წარუდგინა საბჭოს. განცხადება შეეხება ქალაქის **ქუჩების და მოედნების მორწყვის საქმეს.** ხმოსანი სწერს, თუმცა დიდი ფული იხარჯება, მაგრამ მორწყვის საქმე მაინც ვერ არის რიგიანად მოწყობილი; ტფილისმა ამ საქმეში ევროპის ქალაქებს მაგალითი უნდა მიჰბაძოსო. ხმოსნის აზრით, მორწყვის საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა თვითმმართველობა მოელაპარაკოს ტრამვაის პატრონთ, რომ ელექტრონის შემოღების შემდეგ ქუჩები განსაკუთრებულ ვაგონებიდან ირწყვებოდეს.

◆ **გორის მაზრის უფროსმა წარუდგინა** გუბერნატორს პროექტი **სოფლების დაყოფისა ვოლოსტებად.**

◆ 6 ოქტომბერს, გენერალის ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით, მოხდა კრება **საგეოგრაფო საზოგადოებისა.** კრებამ მოისმინა მოხსენება კაპიტანის სმირნოვისა ოსმალეთის ქურთისტანში მოგზაურობის შესახებ. ჩრდილოეთ ქურთისტანში სცხოვრობენ ქურთები, ოსმალები, სომხები, ჩერქეზები და სხვანი. უფრო დაწინაურებულნი და განათლებულნი ჩერქეზები არიან, განსაკუთრებით კავკასიიდან წასულნი და იქ დასახლებულნი. დამოკიდებულება ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის ძალიან გამწვავებული ყოფილა.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა გუშინ სთხოვა ტფილისის ქალაქის მოურავს, ყურადღება მიაქციოს ქალაქის გამგეობის იმ მოხელეებს, რომელნიც, მიუხედავად მუქთ ბილეთებით სარგებლობისა, მეტად უზრდელად ეპყრობიან ცხენის რკინის გზის მოსამსახურეებს. მოთხოვნილების დროს ბილეთს არ უჩვენებენ და სრულიად პატარა მიზეზისთვის ლანძღვა-გინებით ამკობენ როგორც მოხელეებს, ისე მთელ საზოგადოების წევრებს.

◆ 7 ოქტომბერს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ქალაქის საყასბოს ახლოს პოლიციელებმა ჰპოვეს გვამი ვიღაც უცნობ კაცისა, რომელსაც არ ეტყობა ნიშნები ძალათი მკვლელობისა. გვამი მიხეილის სამკურნალო საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს. გარდაცვალებულის ვინაობა არ იციან.

◆ ამას წინად ტფილისის მცხოვრების სარქის პაპოსოვის სახლს თავს დაეცნენ ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი და გაძარცვა მოუნდომეს. პოლიციამ ბოროტ-მოქმედნი დააპატიმრა. ესენი აღმოჩნდნენ თერგის ოლქის მცხოვრებნი შეიხ ბაიხოევი და კუცალ ალახარ-ოღლი.

◆ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს დადგენილებით, განჯის სადგურზე გადაწყვეტილია ერთ-კლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის დაარსება. მასწავლებელს წლიურად 500 მანეთი მიეცემა.

◆ შუა ბაზარში, თავ. მუხრანსკის მამულში, 5 ოქტომბერს ჩხუბი მოუვიდა სპარსეთის ქვეშევრდომს ივანე თამაზოვს სიღნაღის მაზრის სოფელ ნუკრიანის მცხოვრებ მიხეილ თალაშვილთან. ჩხუბის დროს თალაშვილმა [illegible] მუცელში დანი დასჭრა თამაზოვი. თალაშვილი დააპატიმრეს.

◆ 5 ოქტომბერს გორის მაზრის სოფელ ხელთუბანში მცხოვრებს მიხეილ კანაშვილს დესიმ[illegible] ვის მოედანთან მტკვარზე ჩაეყვანა ცხენები. წყალ ცხენები ღრმა ადგილში ჩაუთრევია, კანაშვილი გადმოვარდნილა და დამხრჩვალა. დამხრჩვალის გვამი ჯერ-ჯერობით ვერ იპოვეს.

◆ 6 სექტემბერს სოღანლუღსა და ჯანდარს შუა რკინის გზის საქონლის მატარებელს № 41 ყარსის გზის მე-19 ვერსზე 5 შეიარაღებული ავაზა თავს დაესხა ღამის 11 საათზე, გასტეხეს საქონლი ვაგონი და გამოიტანეს ფართლეულობა. ამასთანავ ერთი კონდუქტორი გაატიტვლეს და ვაგონიდა გადმოაგდეს. ამ ვაგონზე კონდუქტორებად იყვნენ: სიმონ ალიაშენკო, ანდრია სტულკოვი, გაბრიელ ჩაბუნელი, უსტინ ბარბაშევი და კაზიმირ ვარნასი. ყველა ამ კონდუქტორებს აბრალებდნენ ვაგონიდან საქონლის მოპარვას და ამიტომ სამსახურიდანაც დაითხოვეს და პასუხის გებაში მისცეს. ტფილისი მაზრის უფროსის თანაშემწეს გუგუშვილს რკინი გზის მთავრობამ მიანდო აღმოჩენა ამ ნაქურდლი და აგრეთვე ზომების მიღება, რომ რკინის გზის ნაწილში მოსპობილ იქმნას ქურდობა-ავაზაკობ რომელიც ასე ხშირია. ეხლა გუგუშვილს აღმოუჩენ როგორც ნაქურდალი, ისე ნამდვილი ქურდები 5 ოქტომბერს, სამი ავაზაკი დაჭერილი მოყვანა, ხოლო დანარჩენსაც ამ დღეებში შეიპყრობენ. ამავე გუგუშვილს აღმოუჩენია 25 სექტემბე ამავე გზაზე ვაგონის გამძარცველნი და ნაქურდალი ყველა ესენი ერთი და იგივე ბუნდი ყოფილა. ესე ყოფილან კახეთის გზაზე მიმავალ ტფილისის ოლ სასამართლოს წევრთა გამძარცველნი. უპოვნიათ აგრეთვე იმათი ნივთებიც. გუშინწინ, 6 ოქტომბერს ბ- გუგუშვილმა საქმის ვითარება აცნობა რკინის გ გამგეობას, რომელმაც ხელ-ახლად მიიღო ზ ჩამოთვლილი კონდუქტორები.

◆ სად. სუფსა. 6 ოქტომბერს, საღამო საათზე, მოგზაური საბაშვილი მატარებლიდან მოხტომის დროს, ვაგონ ქვეშ ჩავარდა და ძ დაშავდა. დაშავებული ბათუმის ქალაქის საავ ფოში გაჰგზავნეს.

◆ ბორჩალოს მაზრაში შემდეგი ამბები მომხ რა ამ თვის პირველამდის: ილავერდის ქარხანაში მო მუშავე კონსტანტინე იზმიროვს ხანჯალი ჩაუცია გულში თავისავე სოფლელის სოკრად ვიჩახჩიევისათვის; რომელიც ერთის საათის შემდეგ გარდაცვლილა; 2. სოფელ ქეშელოს მცხოვრებთ იუმუსუფოვ-მასიბ-ოღლის და ალალარ-მამედ-ალა-ემინოვს მიწის თაობაზე ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც პირველს მეორ ხანჯლით დაუჭრია, ხოლო მეორეს—მძიმედ რევოლვერით; 3. ანახჩაში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ თოფით მოჰკლეს სოფ. ახვერკიჩის მცხოვრები მიკირტუმოვი; 4. სოფ. ყაზილ-დმლოს მცხოვრები აბას-ყურბან-ოღლისა და სხვათა ბაღში შესულ ყურძნის საჭმელად ასან-ის[illegible]ალ-ოღლი. მებაღეს გორის მაზრელს გიორგი ჯორუშვილს, უსროლი თოფი და მოუკლავს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგ

ფელეტონი

სალიტერატურო შენიშვნები

„მოჩვენებანი"—დრამა იბსენისა. „მოამბე" 1904 წ. №№ VII და VIII.

თანამედროვე დრამატიულ მწერლობის უძლიერეს წარმომადგენლის, იბსენის, სახელი და დიდება მარტოოდენ იმის ნაწერების სამხატვრო და პოეტურს მშვენიერებაზე არ არის დამყარებული. პირიქით, იბსენი ყოვლის უწინარეს საინტერესოა, როგორც ადამიანის მორალურ (ზნეობით) არსებობის ძირითად საკითხების ღრმა და სერიოზული გამომკვლევი. იბსენის დრამების გარეგანი სიწყნარე და თითქოს უსიცოცხლობაც კი სწორედ ამ გარემოებით აიხსნება. ვინც ამ მწერლის ნაწარმოებში ჩაწნულს ღრმა აზრებს ვერ მიაგნებს, იმას თვალში სრულიად ეკარგება ფასი იბსენის კალამს, იმის თვალში იბსენის ნაწერები დრამა კი არა, უბრალო, სასცენოდ დაწერილი და ამასთანავე დაუსრულებლად გაჭიანურებული დიალოგებია. ამიტომ იბსენის შესწავლა და შეგნება უმთავრესად იმის შეხედულებათა გამორკვევას და გათვალისწინებას მოითხოვს.

ჩვენმა საზოგადოებამ ამ ორი წლის წინად გაიცნო იბსენის „ნორა". „ნორა", ჩვენის ფიქრით, ისეთი ნაწარმოებია, რომელიც სხვებთან შედარებით ნაკლებად შეიცავს სიმბოლისმის ელემენტებს და რომელშიაც დედა აზრი—ძირითადი პირობა ზნეობითის არსებობისა—უფრო გარკვევით და ნათლად არის დაყენებული. ამიტომ იბსენის შესაგნებლად „ნორას" შეიძლება გზის მაჩვენებელი ვუწოდოთ. ნორა—ჯერ სულ ახალგაზრდა, უმანკოი ქალია, უყვარს ქმარი, შვილები და ის საზოგადოება, რომელსაც იგი თავის იდეალურის მდგომარეობით ეკუთვნის. ნორას სულიერი განწყობილება სრულიად ეთანხმება ცხოვრების იმ წესს, რომელსაც იმისაგან საზოგადოებრივი ეთიკა ითხოვს; გარეგანი და შინაგანი არსებობა ნორასი, თუ ასეთი თქმა შესაწყნარებელია, სრულიად ეთანხმება ერთი მეორეს. მთელი იმისი სულიერი არსება ძალდაუტანებლად მოქმედობს და თავისუფლად იშლება, როგორც კოკორი; ეს თავისუფალი და გულახდილი ცხოვრება ნორას თვალში მთელს ქვეყანას ბედნიერების სათარეშოდ ასპარეზად წარმოადგენს, რომელშიაც ის უზრუნველ პეპელასავით ცელქობს და დანავარდობს. ნორას სიცოცხლე, თითქოს პირველ-ყოფილი ადამიანი იყოსო, მთლად თავისუფლებასა და გულის სიმართლეზეა აშენებული. ერთად-ერთი ბრძანებელი, ერთად-ერთი ბატონი იმის მოქმედებისა—გულის თქმაა, რომელსაც წინ არაფერი ეღობება და არავითარი დაბრკოლება არ უშლის საქმედ გადაქცევას.

ამ სამოთხისებურს ბედნიერებაში მცხოვრები ნორა გარემოებათა მიმდინარეობით უეცრივ შეიტყობს, რომ ქვეყნად მარტო-ოდენ გულის თქმა არა ყოფილა ადამიანთა მოქმედების მოტივი. შეიტყობს, რომ გულის თქმას ხშირად გზად ათასი სხვა-და-სხვა მოსაზრება და შეხედულება ჰხვდება, რომ მომეტებულ ნაწილად ადამიანი თავის გულის თქმით კი არა, საზოგადოების აზრით, საზოგადოებაში გამეფებულ კანონიერებით, წესიერებით და ზნეობით ხელმძღვანელობს; თავისუფლების ჰაერში და გულის თქმათა სამფლობელოში აღზრდილი ნორა შეიტყობს, რომ ხშირად წმინდა სიყვარულით, პირდაპირის გრძნობით გამოწვეული მოქმედება ქვეყნის თვალში სამარცხვინო, სასჯელის ღირსი საქციელია, და რომ იმისი საყვარელი ქმარიც და სხვა მახლობლებიც სწორედ ასე ფიქრობენ. ნორას თვალწინ უეცრად ეხდება ფარდა ცხოვრების სინამდვილეს და აშკარადა სჩნდება თანამედროვე საზოგადოებრივ არსებობის ის წყლული, რომელსაც სიყალბე ჰქვიან. ამიერიდან ნორამ ხელი უნდა გაუწოდოს ამ სიყალბეს და ისევე იცხოვროს, როგორც საყოველთაოდ სცხოვრობენ ადამიანები საზოგადოებაში, ე. ი. იცხოვროს სიცრუით და ძალდატანებით სიმართლისა და თავისუფლების მაგიერ, ან უარ-ჰყოს თვით ეს სიცრუეზე აშენებული საზოგადოება და გაეცალოს იმას. ნორა ამ მეორე გზას ირჩევს.

„ნორა" ცხად ჰყოფს, რომ იბსენის აზრით ბედნიერება ცხოვრების ისეთს წესს მოასწავებს, როდესაც ადამიანის მოქმედება უთუოდ გზით შეთანხმებულია იმის გულისთქმასთან; პირიქით, გაჩნდება თუ არა ისეთი მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვიშლის სიმართლეს მივსდიოთ და გულისთქმათა მიხედვით ვიმოქმედოთ, ირღვევა ადამიანის ბედნიერებაც. საზოგადოების არსებობა კი შეუძლებელია უიმისოდ, რომ იმას თავისი წესი, თავისი კანონები, თავისი შეხედულებანი არა ჰქონდეს თუ ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი, იმის მოთხოვნილებას დაემორჩილა—უნდა უარ-ჰყოს თავისუფლება და სიმართლე, მაშასადამე, ბედნიერებაც, თუ არა—მარტოობაში უნდა დალიოს თავისი დღე. ადამიანის ბუნება განუყოფელი ერთეულია, იმისი დანაწილება არ იქნება, ნახევრად თავისუფლება და ნახევრად სიმართლე, ე. ი. კომპრომისსები შესაწყნარებელი არ არის.

ეს აზრი ნათლადა აქვს გამოთქმული იბსენს, სხვათა შორის დრამაში „პატარა ეიოლფი", რომელიც ქართულადაც არის ნათარგმნი. მაშასადამე თავისუფლების და სიმართლის მოყვარულს ადამიანს მარტოობის მეტი სხვა აღარაფერი დარჩენია. იბსენს ამ თემაზე რამდენიმე დრამა აქვს დაწერილი; სიმართლის მოტრფიალე გმირი ჩვეულებრივ მთელს საზოგადოებას უცხადებს ბრძოლას, რადგან მთელი საზოგადოება სიცრუეში სცხოვრობს, მაგრამ ამ ბრძოლის შედეგი—გმირის მარტოდ დარჩენაა, რომელსაც ზნეობრივად ვერა სძლევს საზოგადოება, მაგრამ თავის გარეშე კი გაჰრიყავს. ასეთია, მაგ. „ხალხის მტერი ანუ ექიმი სტოკმანი".

საზოგადოებაში დამკვიდრებული და გამეფებული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, ე. ი. საზოგადოებრივი ეთიკა ბუნებითი და აუცილებელი ფაქტია; იმისი უკანასკნელი საფუძველი, უკანასკნელი წყარო იგივე ადამიანი, იგივე პიროვნებაა. სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოების გავლენით საზოგადოების შემადგენელი ადამიანები ჰქმნიან საზოგადოებრივს ეთიკას, რომელიც პირველს ხანებში შესაძლოა ეთანხმებოდეს ან არ ეწინააღმდეგებოდეს თავისუფლების მისწრაფებას და გულისთქმათა მიმდევრობას, მაგრამ რაკი ერთი ეს საზოგადოებრივი ეთიკა პიროვნების ინდივიდუალურს წარმოდგენებზე მოითხოვს ბატონობას, მაშინ აუცილებლად იჩენს თავს ის განხეთქილება პიროვნების და საზოგადოების შორის, რომელიც დასურათებულია „ნორაში". რა გზაზე დააყენებს ადამიანს ეს განხეთქილება—დამოკიდებულია პიროვნების ხასიათის სიმტკიცესა და ენერგიაზე. ძლიერის ბუნების ადამიანი ქედს არ მოიხრის საზოგადოების წინაშე, საზოგადო აზრს არ დაემორჩილება, ქვეყნის შეხედულებას და მითქმა-მოთქმას არ შეუშინდება, თავისუფლებას და სიმართლეს არ გასწირავს და თავის არსებობის დამოუკიდებლობისთვის, თუ საჭირო შეიქნა, მთელს საზოგადოებას შეებრძოლება. ასე იქცევა ნორა და სტოკმანი. პიროვნება საზოგადოებასთან უსწორო ბრძოლიდან შეიძლება გამარჯვებული ვერ გამოვიდეს, მაგრამ არც იმისი ზნეობითი დამარცხებაა მოსალოდნელი, და თვით ეს ბრძოლა თავისუფლებისთვის კი იმ მოვალეობის აღსრულებაა, რომელიც მთელისა და საღის ბუნების ადამიანისთვის თვით სიცოცხლე და სიმართლეა.

ბ-ნის ეკალაძის მიერ ახლად გადმოთარგმნილი დრამა იბსენისა „მოჩვენებანი" იმავ ნიადაგზე, იმავ დედა-აზრზეა აშენებული, რომელიც ამ ავტორის სხვა დრამებში სჩანს; მხოლოდ აქ სხვა გვარი მდგომარეობაა დასურათებული და სხვა მხრივ არის გამოთქმული მორალურის თავისუფლების აზრი.

ოცდა ცხრა წლის წინად იმ დრომდე, როდესაც იწყება დრამის მოქმედება, დედამ და დეიდებმა ახალგაზრდა გულუბრყვილო ელენე მიათხოვეს მდიდარს და სანატრელს სასიძოს ალვინგს. მაშინ ელენეს სურვილს, იმის მისწრაფებას და გულის თქმას არავინ არ დაეკითხებია. ეს არც საჭიროდ მიაჩნდათ, იმის მაგიერ დედა და დეიდები ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ. ელენეს გათხოვება იმის სურვილის და გრძნობის მიუხედავად პირველი უარყოფა იყო ახალგაზრდა ქალის თავისუფლებისა და იმის პიროვნების დამოუკიდებლობისა. ამ ფაქტს ჯერ-ჯერობით გამოუცდელი და ცხოვრების უცოდინარი ელენე პირველს ხანებში არ ეწინააღმდეგებოდა; დედასა და დეიდებს არ ებრძოდა თავისუფლების წართმევისა გამო, მაგრამ მორალურის არსებობის ძირითად პირობის დარღვევამ მალე იჩინა თავი და მალე აგრძნობინა თავისი ძლიერება ახალგაზრდა ქ-ნს ალვინგს. ელენემ თავის ქმრის სახლში შესვლის უმალ იგრძნო, რომ იმას ალვინგი არ უყვარს. აღმოჩნდა ამასთანავე, რო ალვინგი გარყვნილის ყოფა-ქცევის კაცია. ელენ დააკვირდა თავის მდგომარეობას და ნათლა შეიგნო, რომ იმისი გული მანდერსს თანაუგრძნობდა და რომ იგი გარყვნილს ალვინგს ც დობას ვერ გაუწევდა. ბუნებითი მოტრფიალე თავისუფლებისა და გულისთქმათა მიმდევრობის ელენე საჭიროდ არა ჰხედავდა საზოგადოებ აზრისთვის გაეწია ანგარიში, და ამიტომ საჩ როდ გაანება თავი ქმარს და მანდერსს გამოუ ხადა, უამბო თავისი მდგომარეობა, გადუხს გული და შველას ითხოვდა. მანდერსი ტიპიუ წარმომადგენელია იმ მონურ აზრ-შეხედულებათ რომელიც ზნეობას თავისუფლების შესაბორკ ლად შედგენილს ცნებათა კოდექსადა სთვლი და, რა თქმა უნდა, ქ-ნის ალვინგის წინადადებ მხარს არ დაუჭერდა. მანდერსი, პირიქით, თავ მოვალეობად სთვლის დაარწმუნოს ელენე, რო იმას უფლება არა აქვს ქმრის სახლიდან წასვლისა რომ იგი მოვალეა აასრულოს კანონიერის ც ლის ყოველივე ვალდებულება, და ითხოვს ელენესაგან უკანვე ქმრის სახლში დაბრუნებას. მანდერსის აზრით, სული ბოროტებისა ამოძრავებ კაცს, როდესაც იგი ცხოვრებისაგან ბედნიერება თხოულობს, თორემ რა ნება გვაქვს ჩვენ ბედნიერებისა; ადამიანმა მარტო მოვალეობა უნ აასრულოს, ცოლის მოვალეობა-კი ის არი რომ არ გაჰშორდეს იმ კაცს, რომელთანაც ეკლესიამ სამღვთო კავშირით შეაერთა. ელენ დაუთმო მანდერსს და ალვინგის სახლში დაბრუნდ მაგრამ იმის აღშფოთებული გონება არ გაჩერ ბულა. სულიერად უცხო ადამიანის ჭერ ქვ ცხოვრებამ ელენე მარტოობაში ჩააგდო და მუ მივმა ფიქრმა, აზრთა შეუწყვეტელმა მიმდინარეობამ იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ საზოგადოებაში გამეფებული წესიერება, საზოგადოებისაგან მოქმედების სავალდებულო მოტივ გადაქცეული ჩვეულებები და პირობები ძირი ფესვიანად ეწინააღმდეგება იმის ზნეობითი სებას.

აი, აქ იწყება ჩუმი, უჩინარი, მაგრამ ს ნელი და გულის შემზარავი დრამატიული მდ მარეობა. ვიდრე ქ-ნი ალვინგი შეიგნებდა ლიურის მორალის სიცრუესა და სიყალ

...ვნა შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის. „ჩვენგან ...ლმერთიებელ ხელმწიფის ღრმა ნდობასთან ...თად მიიღეთ გულითადი მილოცვა ქუ...ისის გუბერნიის თავად-აზნაურთა თქვენის ...წყინვალების შინაგან საქმეთა მინისტრის ...დ მნიშვნელოვან ადგილზე დანიშვნის ...ამო, იმ თავად-აზნაურთა, რომლის ხსოვნიდამაც არასოდეს არ ამოიშლება საუკეთესო მოგონებანი ყოფილის გენერალ-გუბერნატორის, ჰუმანიურის, გულკეთილისა და სამართლიანის განსვენებულის მამა თქვენის, თავად დიმიტრი ივანეს ძისა და იმის ოჯახისა. ვევედრებით უზენაესს, რათა მან მოგანიჭოთ თქვენ, თავადო, დღეგრძელი ...იცოცხლე და გაუტეხელი ძალა და სულის სიძლიერე ტახტისა და სამშობლოს სასარგებლოდ“. ამ დეპეშის პასუხად თავ. ნიჟარაძეს შემდეგი დეპეშა მოუვიდა თავ. პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკისაგან: „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სასიამოვნო მილოცვამ ჩემზე ღრმად იმოქმედა. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან გულითადი მადლობა განსვენებულ მამიჩემის კეთილ ხსოვნისა და ჩემთვის კეთილ სურვილის გამოცხადებისათვის.“

◆ ამ მოკლე ხანში ქუთაისში მოხდება ...ილობრივ სამკურნალო საზოგადოების ...ება თავის წევრის განსვენებულ სამსონ ...ოფურიას ხსოვნის პატივსაცემლად. როგორც გავიგეთ, ოთხი ექიმი, ბ-ნნი სერგეენკო, დ. ა. ნაზაროვი, ტერ-ტეროვი და გ. ი. გოკიელოვი ამ დღეს წაიკითხავენ წერილებს სამსონ თოფურიას ცხოვრება—მოღვაწეობის შესახებ. კრება, როგორც ამბობენ, ქალაქის გამგეობის დარბაზში ...ნდა მოხდეს, რადგან უთუოდ დიდ-ძალი ...აზოგადოება დაესწრება და ქალაქის უფასო სამკურნალოს დარბაზში არ დაეტევა.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

5 ოქტომბერს, საკათედრო ტაძარში წირვისა და და პარაკლისის მოსმენის შემდეგ, თავად-აზნაურობა შეიკრიბა დეპუტატთა საკრებულოში.

წინა დღის სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარემ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ მოახსენა კრებას: გუშინ ჩვენ დავადგინეთ, დავაარსოთ სათავად-...ნაურო პროგიმნაზიაში მემკვიდრე ცესარევიჩის სა...ბის ოთხი სტიპენდია, მაგრამ არ დაგვისახელებია, რომელ წყაროდან უნდა დაარსდეს სტიპენდიები. გარდა ამისა, როგორც გავიგეთ, თავ. ა. გ. გელოვანი, რომელიც გუშინ ავარჩიეთ დეპუტაციაში, დროს უქონლობისა გამო ვერ აპერხებს დეპუტაციაში მონაწილეობა მიიღოს. ამიტომ საჭიროა სხვა ვინმე ავირჩიოთ. კრებამ ერთხმად დაადგინა: სტიპენდიების დასაარსებლად ყოველ წლიურად გადაიდოს 1000 მანეთი იმ ფულის სარგებლიდან, რომელიც თავად-აზნაურობას უნდა დაუბრუნდეს (450,000 მანეთი) ბანკიდან. დეპუტაციის წევრად კი ერთხმად აარჩიეს თავ. ო. თ. დადეშქელიანი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 5 ოქტომბერს, ჩემს წერილში აღნიშნულ პირთა გარდა დეპუტაციის წევრად არჩეულ იქმნა აგრეთვე დ. ნ. ბაქრაძე.

შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ, როგორც თავ. ი. გ. ჭავჭავაძისაგან გავიგეთ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიერ არჩეულ კომისიას შეუძლებლად უცვნია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებთან შეერთება და საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსება. ამიტომ ეხლა ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, ცალკე როგორ მოვიხმაროთ უმაღლესად ნაბოძები ყოველ-წლიური 20 ათასი მანეთიო. ამასთანვე თავმჯდომარე იმ აზრისაა, რომ თავად-აზნაურობა წარსულ სამი წლის ხვედრს შემწეობას 60,000 მანეთს ვერ მიიღებსო. დ. ა. ლორთქიფანიძე ამტკიცებს, რომ ეს ფული მოგვეცემა მთავრობისაგან იმ დღიდან, რა დღესაც უმაღლესი რესკრიპტი დაიწერაო. „მე წინად უფრო სკოლის მომხრე ვიყავი, ვიდრე სტიპენდიისა“,—განაგრძო იმან,—არც ეხლა ვარ ამის წინააღმდეგ, მაგრამ, რადგან ჩვენ კიდევ ვერ შეგვიმუშავებია, ხეირიანად ვერ გამოგვირკვევია, როგორი სასწავლებელი უნდა დავაარსოთ, ამიტომ საჭიროდ ვცნობ, რომ დროებით მაინც ხსენებული ფული მოხმარდეს სტიპენდიების დაარსებას. შემდეგ კი, როდესაც შევიმუშავებთ სკოლის ტიპს, შეგვიძლიან სტიპენდიები მოვსპოთ და სკოლა დავაარსოთო“. ამასთანვე მან წინადადება მისცა კრებას, აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე იმის შესახებ, რომ წარსულ სამი წლის ხვედრი შემწეობა 60,000 მანეთი მოხმარდეს მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოოზის ძის სახელობის სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის შენობის აგებას. გ. ქორქაშვილი და თავ. დ. გ. წულუკიძე წინააღმდეგნი არიან სტიპენდიების დაარსებისა, თუნდ ეს სტიპენდიები დროებითაც იყოს, რადგან ერთხელ თუ სტიპენდიები დავაარსეთ, მერე მათი მოსპობა და სკოლის დაარსება შეუძლებელი იქმნებაო. მათ აღნიშნეს, რომ სტიპენდიებით ისარგებლებენ მხოლოდ ისინი, ვინც ამას არ საჭიროებენ, ვისაც მეტი პროტექცია ექმნებათ; ნამდვილი ღარიბები კი მუდამ განზე დარჩებიანო. დ. ნ. ბაქრაძე და დ. ა. ნაზაროვი წინადადებას იძლევიან, რომ ხსენებული ფული მოხმარდეს ეხლანდელს ადგილობრივ სამეურნეო სასწავლებელს, რომელიც ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობაშია და დღეს თუ ხვალ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში გადავაო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ თავმჯდომარემ საქმე გამორკვეულად იცნო და ყუთი დაუდგა ამ საკითხს. 33 ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ კრებამ დაადგინა: რადგან თავად-აზნაურობას ყოველთვის შეუძლიან შესცვალოს თავისი დადგენილება და უმაღლესად ნაბოძებ ფულს მისცეს დანიშნულება, ამ ჟამად ეს ფული მოხმარდეს სტიპენდიების დაარსებას. ამასთანვე უმაღლესს მთავრობის წინაშე აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ წარსულ სამი წლის ხვედრი 60,000 მანეთი მოხმარდეს მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობის სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის შენობის აგებას.

ამით გათავდა თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

დონ-ვალიანი.

რუსეთის ქრონიკა

◆ სხვას რომ გული ეწვის, კრასნოიარსკის (ციმბირშია) ვაჭრები ამ დროს ხელს ითბობენ. ომის მიზეზით გადაჭარბებით გაუძვირებიათ იმათ ყველაფერი. მაგრამ ესეც არ იკმარეს ამ სასიქადულო ვაჭრებს და შემდეგი ახალი ღონე უღონიათ ხალხის გასაყვლეფად: მუშტარს, რომელიც შაქრის საყიდლადაა მისული, ეუბნებიან, „ამა და ამ საქონელს თუ იყიდით, შაქარსაც მოგყიდით, თუ არა და—სჯობია ისევ შინ მიბრძანდეთო“.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა შემდეგის თხოვნით მიმართა საზოგადოებას: „ჯარის კაცნი, რომლებმაც რამდენსამე ხანს იმსახურეს და შემდეგ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად იქნენ ცნობილნი, ავადმყოფობისა და სხვა მიზეზთა გამო, სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ. არსებულ წესით, ხაზინა არ აძლევს იმათ თბილ ტანისამოსს. მივმართავ ქველმოქმედ პირთ თხოვნით იზრუნონ იმ ჯარის კაცთათვის და თბილი ტანისამოსი უშოვონ, რაიცა მეტად საჭიროა მათთვის ამ სუსხიან შემოდგომის დროსაო“.

◆ გაზ. „ნოვოსტი“-ს სწერენ, რომ ქ. ბელოსტოკიდან გაჰგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში ადგილობრივ საავადმყოფოს უფროსი ექიმი ეფშტეინი, ფრიად პატივცემული ადამიანი, რომლის გასაცილებლად მოვიდა სადგურზე ბევრი ექიმი და მრავალი ხალხი. სადგურის დარბაზი გაიჭედა ხალხით და სადგურის უფროსს მიმართეს თხოვნით, ახლოს ერთი დიდი კარჩაკეტილი თავისუფალი ოთახი გაეღო. სადგურის უფროსმა ბრიყვულად უარი უთხრა მთხოვნელთ და ხმა-მაღლა წამოიძახა: „ებრაელს, „ჟიდ“-ს მე ამ ოთახს არ გავუღებო“. ამ შემთხვევის შემდეგ ექიმებმა იმ დღესვე საგანგებო კრება მოახდინეს და გადასწყვიტეს, მომხდარი ამბავი ადგილობრივ გუბერნატორს აცნობონ.

◆ პეტერბურგიდან ატყობინებენ გაზ. „რუსკ. სლოვო“-ს: „ხმებია, რომ მანჯურიის მეორე არმიის უფროსი გენერალ-ადიუტანტი გრიპენბერგი 10 ოქტომბერს წავა შორეულ აღმოსავლეთშიო“.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ გაადვილებულ იქნას რუსეთში საზღვარ გარეთიდან გამოგზავნილ კორრესპონდენციის მიღება.

◆ დონის როსტოვიდან ატყობინებენ გაზ. „რუსკ. სლოვო“-ს, რომ როსტოვის ვაჭრებმა დეპეშით მიმართეს გზათა და ფინანსთა მინისტრებს, როსტოვის სადგურზე დიდ ძალი პური შეგროვდა ვაგონების უქონლობის გამო და, თუ რამ ღონე არ იღონეთ, როსტოვის ბევრი სავაჭრო სახლი გაკოტრდებაო.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 ოქტომბერი

ტოკიო, 4 ოქტომბერი. („რეიტ. სააგ.“). მანჯურიაში მყოფი იაპონიის არმიის მთავარ-სადგომი იუწყება, რომ რუსის ჯარი ექვსას ან ათას მეტრის მანძილზე დგა იაპონელების მიერ დაჭერილ ადგილებიდან და თავის პოზიციებს ამაგრებსო.

ხარბინი, 7 ოქტომბერი. ხმებია, 4 ოქტომბერს ღამე იაპონელები ხელახლად თავს დაესხნენ რუსების მოწინავე რაზმების მიერ დაჭერილ ადგილებს და უკუქცეულ იქმნენ. 4 ოქტომბერს რუსებმა დაიპყრეს რამდენიმე სოფელი მდინარე შახეზე და მათი ჯარის ზოგიერთი ნაწილი წინ წავიდა.

ლონდონი, 6 ოქტომბერი. ოკუს არმიაში მყოფი „რეიტერი“-ს კორრესპონდენტი იუწყება 4 ოქტომბერს, რომ მარჯვენა და შუა არმიებმა შეინარჩუნეს ბრძოლის დროს თავის ადგილები და წინ წავიდნენ. იაპონიის მთელი ჯარი წავიდა წინ და 15 მილი გაიარა. ორივე არმია ისვენებს და, ალბად, რამდენსამე დღეს არავითარი მოძრაობა არ იქნება.

ჩიფუ, 6 ოქტომბერი. („რეიტერი“). მოვიდა ჩინელი ვაჭარი, რომელიც დაწყებისათანავე პორტ-არტურთან ალყად შემორტყმულ ჯარში იყო. ეს ჩინელი ირწმუნება იაპონელებს 50 ათასზე მეტი კაცი მოუკლესო. თვითონ ჯარსაც სჯერა, რომ ეს რიცხვი გაზვიადებული არ არის. ჩინელი ვაჭარი ამტკიცებს, იერიშების უმეტესი ნაწილი ხელჩართულ ბრძოლით თავდებაო.

ლონდონი, 6 ოქტომბერი. რუსეთის შუალა არმიაში მყოფი „რეიტერი“-ს კორრესპონდენტი იუწყება, რომ ორ ოქტომბერს შეუწყვეტელი ბრძოლა სამ ოქტომბერს განახლდა. რუსებს ეჭირათ პოზიციები შახეს ჩრდილოეთ ნაპირზე და განუწყვეტლივ ყუმბარებს ესროდნენ იაპონელებს, რომელნიც პასუხს აძლევდნენ. ამაზე უფრო გამწვავებული ბრძოლა ცენტრში მოხდა. 3 ოქტომბერს ღამე რუსის ორმა პოლკმა თავგანწირულად იერიში მიიტანა იაპონელებზე და იმათი ორი ბატარეა ჩაიგდო ხელში, რომლებშიაც რვა-რვა ზარბაზანი იყო. დიდი სისხლის ღვრა მოხდა. იერიშით მოსულ ჯარის უფროსი პოლკოვნიკი მძიმედაა დაჭრილი, იაპონელები იძულებული გახდნენ გაენადგურებიათ თავისი სამხედრო მასალა. ბრძოლა მთელ ღამეს გაგრძელდა. ჯარი ორივე მხრივ დიდად დაზარალდა. 4 ოქტომბერს დილით რუსეთის შუალა არმიას ეჭირა პოზიცია მუკდენიდან 12 მილის მანძილზე, რკინის გზაზე, მარცხენა ჯარმა კი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიწია. იაპონელებმა შეაკეთეს გზა და სეტყვასავით დააყარეს ყუმბარები რუსების პოზიციას, მაგრამ მცირედ დააზიანეს. საღამოს ბრძოლა ისევ შეწყდა, ღამე კი რუსის შუალა არმიამ ორჯელ მიიტანა იერიში ქვეითა ჯარით და არტილერიით და ახალი პოზიციები აიღო დაახლოვებით ნახევარი მილის მანძილზე რუსების მიერ დაჭერილ ადგილების პირდაპირ. იერიშები კოკის-პირულად წვიმის დროს მიიტანეს. რუსებმა ისევ დაიჭირეს პატარა ადგილი, რომლიდგანაც გასულ კვირაში უკან დაიხიეს. დღეს იაპონელები დრო-გამოშვებით სეტყვასავით აყრიან ყუმბარებსა და შრაპნელებს, რუსის ბატარეებს რომელნიც განუწყვეტლივ ყუმბარებს უშენდნენ იაპონელებს. ოკუს არმიიდან იუწყებიან 6 ოქტომბერს, რომ, როგორც რუსებისაგან წართმეულ კარტებიდან სჩანს, რუსებმა უკან დაწევა ისე განიზრახეს, რომ წინდაწინვე აღნიშნეს ის ადგილები, სადაც წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ წინ-წამოსულ იაპონელებისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იაპონელები ნელ-ნელა მიდიოდნენ წინ და ვერ მოახერხეს უკან დაწეულ რუსების დაბრკოლება, რადგან რუსებმა ძალიან მოხერხებულად დაიწიეს უკან. გარდა ამისა ოღრო-ჩოღრო ადგილებმაც გაუძნელეს იაპონელთ წინსვლა. იაპონელების კავალერია ხუნხეზე გადავიდა და დაუშალა რუსებს იაპონელთა ჯარის შემოვლა.

7 ოქტომბერი

პეტერბურგი. მემკვიდრე ცესარევიჩი ჩარიცხულ იქმნა მისი უდიდებულესობის მოსკოვის მე-65 ქვეითა პოლკში.—შინაგან საქმეთა, საზღვაო და სამხედრო მინისტრების შეთანხმებით დადგენილია რუსეთ-იაპონიის ომის მიუხედავად, ჯარის მომავალ გაწვევის დროს საოჯახო გარემოებათა გამო მესამე ხარისხის შეღავათი მისცენ იმათ, რომელნიც სათადარიგო ჯარში ან ოპოლჩენიაში ჩარიცხულთა მომდევნო ძმები არიან.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 ოქტომბერი

ჩიფუ, 6 ოქტომბერს. ნიუ-ჩუანიდან მოსული ევროპიელი ვაჭარი იუწყება: „იაპონელები მეტად მკაცრად ექცევიან ჩინელებს, სრულ თვითნებობას იჩენენ: 12 პატივცემულ ჩინელ ვაჭარს ზღვაზე ყაჩაღობა დასწამეს და, იმის მიუხედავად, რომ საბუთები არ ჰქონდათ, სიკვდილით დასაჯეს. იაპონელებმა დაატუსაღეს ის ჩინელი ბანკირები, რომლებმაც იაპონიის ხაზინის საბანკო

ვიდრე იმას თავისი მოვალეობა ისე ჰქონდა წარმოდგენილი. როგორც ამას მორალი ქადაგებდა ბ-ნის მანდერსის ენით, აზრი, რომ იგი მოვალეობის აღსასრულებლად იტანჯებოდა გარყვნილის ქმრის ხელში, რამდენადმე უადვილებდა ცხოვრების მძიმე უღელს, მაგრამ როდესაც იმის თვალში ეს მორალი დაიფუშა და მტვრად ...ა, მაშინ-კი იმისი არსებობა ნამდვილი ...კრული შეიქმნა. ამ დროს ელენეს ეყოლა ...ლი ოსვალდი და ეხლა ბავშვის მომავალი ...ნიერება გაუხდა საზრუნავად. ელენე მთელს თავის ძალ-ღონეს ამოქმედებდა, ოღონდ-კი სიმართლე დაეფარა და არავის არა სცოდნოდა, რა კაცი იყო მამა იმისი შვილისა. ალვინგის დამ-დამობით სახლში შესაკავებლად—ელენე იძულებული იყო ელოთნა იმასთან ერთად, ჭიქა-ჭიქაზე მიეხალებინა, ყური ეგდო იმის ლოთი-თვითურ მსჯელობა—უბედობისთვის და მთელი დამეები ეუარაულნა, რომ გალეშილი დამე არსად გაპარულიყო. ამ საზიზღრობას ზედ დაერთო კიდევ სხვა უფრო უარესი. ბ-ნი ალვინგი მოახლეს დაუმეგობრდა და უკანონო ქალიშვილი ეყოლა. ეს კავშირი დიდად შეურაცხჰყოფდა ელენეს თავმოყვარეობას, მაგრამ ის მაინც ყველაფერს იტანდა თავის შვილის გულისათვის. რაკი ქმრის გარყვნილების ნაყოფი ...ენემ ხელში დაიჭირა, განიძრახა ოჯახში ალ...ნგის ბატონობისთვის სრულიად ბოლო მოე... და კიდეც მიაღწია მიზანს. ალვინგი წინაა...გობას ვერა ჰბედავდა. ოსვალდი წამოიზარ..., ცნობის მოყვარეობით დაიწყო სხვა-და სხვა ...გნების გამოკითხვა, თანდათან ჭკუაში ვარდებო... და, რადგან სახიფათო იყო ბავშვის აღზრდა ალვინგისაგან ოჯახში დაბუდებულ გარყვნილების ატმოსფერაში, ამიტომ ელენემ თავისი შვილი სხვაგან გაისტუმრა და ვიდრე მამა ცოცხალი ჰყავდა, სახლში აღარ დაუბრუნებია.

ცხრამეტი წლიწადი იცოცხლა ელენეს ქმარმა, ცხრამეტი წლიწადი ეწეოდა ელენე თვალთმაქცობის საფუძველზე აშენებულ ცხოვრების მძიმე ჭაპანს. ამ ხანგრძლივს ტანჯვას და მწუხარებას ერთად-ერთი აზრი, ერთად ერთი მიზანი ჰქონდა—ელენეს უნდოდა სიმართლე დაეფარა, ქვეყნისთვის არ გაეგებინა, რა ადამიანი იყო იმისი ქმარი. ელენე კარგად ჰგრძნობდა, რა სიცრუეს, რა სიყალბეს წარმოადგენდა იმისი ცხოვრება, მაგრამ ქვეყნის ეჭვისა ეშინოდა, მხდალი იყო, როგორც თითონ ამბობს, და ვერა ჰბედავდა ალვინგის საზიზღარ ყოფა-ქცევის გამომჟღავნებას. ელენემ თითქოს კიდეც მიაღწია მიზანს, იმისი წარსული და ქმართან დამოკიდებულება არავინ არ იცის, ამიტომ ეხლა ის ისეთს ცხოვრების დაწყებას აპირებს, თითქოს იმისი უბედური ქმარი ქვეყნად არც კი ყოფილიყოს. ელენეს ჰსურს სრულიად მოსპოს თავისი წარსული, დაივიწყოს, რომ ამოდენა ხანი სიმართლის წინააღმდეგ იქცეოდა, და ახალს, თავისუფალს ცხოვრებას მოეკიდოს. უკვე ათი წელიწადი გავიდა ალვინგის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ელენეს გონებაში განვლილი ცხოვრება მაინც არ წაიშალა. პირიქით, სიცრუისა და თავისუფლების უარყოფაში გატარებულმა დრომ ღრმა, აღმოუფხვრელი ბეჭედი დაასვა ელენეს სულიერს განწყობილებას; იმას მუდამ სდევნის შიში, თავიდან აუცილებელი შიში მოჩვენებისა. ელენეს დღემდე ერთს წუთსაც არ უცხოვრია ნამდვილის, მართალის ცხოვრებით; ერთს წუთსაც არა ყოფილა იგი ნამდვილი და მართალი ადამიანი; მთელი იმისი არსება წარსულში მხოლოდ გარეგნობა, უსულო გარეგნობა, უბრალო ჩვენება იყო და არა ნამდვილი ადამიანი. იმისი მოქმედება არც ერთხელ არა ყოფილა სიმართლისკენ მიმართული, იგი მუდამ მოჩვენებას ჰქმნიდა, მუდამ სიყალბისა და სიცრუისკენ ისწრაფვოდა. მოჩვენებათაგან შემდგარ ცხოვრებაში გამოვლილს ელენეს ეხლა მთელი ქვეყნიერება უბრალო ჩვენებად წარმოუდგება და არა სინამდვილედ. ელენეს ეშინიან ამ მოჩვენებებისა, სცდილობს როგორმე დააღწიოს თავი და ახალი ცხოვრება დაიწყოს, მაგრამ ეს შეუძლებელია. ვინც ერთხელ უარჰყო თავისუფლება, ვინც ერთხელ გააგდო ფეხ ქვეშ და გასთელა გულისთქმა, ვინც ერთხელ შეუქცია ზურგი სიმართლეს, იმას იმედი აღარ უნდა ჰქონდეს ხელახლა მოიპოვოს სიმართლე და თავისუფლება. ადამიანის პსიხიური ბუნება კომპრომისსების წინააღმდეგია, ზნეობით სიფაქიზეს და თავისუფლებას დაუსრულებლად ბეჯითი დარაჯობა უნდა. ელენეს თვალწინ მარად ჟამ ცოცხლდება წარსული და სათავეშივე არღვევს ყოველს იმის ცდას ახალის ცხოვრების დაწყებისას. ეს მოჩვენებები იგივე სინიდისის მხილებაა, რომელსაც ვერაფრით ვერ მოატყუებს ადამიანი, ვერაფრით ვერ დააჩუმებს, რამდენიც უნდა ეცადოს.

მოქმედება დრამისა იმ დროს იწყება, როდესაც უკვე ათმა წელიწადმა განვლო ალვინგის სიკვდილის შემდეგ, და ელენემ უკვე საქველ-მოქმედო მიზნისთვის გადასდო მთლად ის ქონება, რაც ამ 29 წლის წინად იმის ქმარს სანატრელს სასიძოდ ჰხდიდა. ელენეს უნდა სრულებით ამოშალოს თავის წარსულიდან ალვინგთან გატარებული დრო და თავისუფლად იცხოვროს სწორედ ამ დროს სახლში დაბრუნებულს შვილს ოსვალდთან ერთად. მაგრამ წარსული აწმყოს ეკითხება, წარსული მეფობს აწმყოზე და ელენე თავის განზრახვას ვერ მიაღწევს. ბედნიერების მოპოვება მხოლოდ მუდმივს თავისუფლებას შეუძლიან; ერთხელ დარღვეულის სიმართლის აღდგენა შეუძლებელია. საქველ-მოქმედო აზრით აშენებულს თავშესაფარს, რომელსაც სამუდამოდ უნდა აელაგმა მითქმა-მოთქმა ოსვალდის მამის პიროვნების შესახებ, ცეცხლი მოედება და გადასწვავს. ოსვალდს თითქოს მამის ზნე ჩვეულება გამოჰყვება და, როგორც ოდესმე იმის მამას, მოსამსახურე ქალზე უჭირავს თვალი. გარდა ამისა ოსვალდი შთაბეჭდილებით ავადმყოფი აღმოჩნდება, ექიმის სიტყვით, იმას ტვინი აქვს გამოლაყებული, ეხლა აღარაფერი მუშაობა აღარ შეუძლიან და მომავალში აუცილებლად ჭკუიდან შეიშლება. ელენემ იცის, რომ თავისუფლება ძვირფასია და ოსვალდის გრძნობას მოახლე ქალისადმი წინ არ გადაეღობებოდა, მაგრამ ეს ქალი ისეთივე შვილია ოსვალდის მამისა, როგორც თითონ ოსვალდი. ოსვალდის ბედნიერებისათვის ელენე თითქმის მზად არის სამუდამოდ გულში ჩაიმარხოს ეს საიდუმლოება და ხელი არ შეუშალოს იმის ქორწინებას საკუთარს დაზე, მაგრამ დარწმუნებული არ არის, რომ ეს ქორწინება იმის საყვარელს შვილს ბედნიერებას მოუტანს და ამიტომ ორივეს, ოსვალდსაც და იმის დასაც, გაუმხელს მათს ნათესაობას. ამ საიდუმლოების გამხელას უმთავრესად ის მოსაზრება აიძულებს ელენეს, რომ ოსვალდს სწამს მამის ცხოვრების სიწმინდე და თავის ავადმყოფობას საკუთარს ქარაშუტობას აბრალებს. ოსვალდი ძლიერ იტანჯება სინანულით და ელენემ კი იცის, რომ შვილის ავადმყოფობა მამის გარყვნილების შედეგია. მარტოდ დარჩენილი ოსვალდი დედას საწამლავის კოლოფს უჩვენებს და სთხოვს, როდესაც ჭკუიდან შევიშლები, სასიკვდილო აბები ჩამაყლაპე, რადგან უიმედო ტანჯვას ისევ სიკვდილი სჯობიაო. მალე ოსვალდი მართლა ჭკუიდან შეიშლება და ელენეს განზრახვა ბედნიერის ცხოვრების დაწყებისა უქმად რჩება.

„ნორამ“ თავის დროზე ყველგან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დღემდე ბევრი შინაური მორალისტი ვერ შეჰრიგებია იმ აზრს, რომ ბავშვებისა და ქმრის პატრონმა ქალმა ოჯახს თავი დაანებოს, რაც უნდა დიდი განხეთქილება და შეუთანხმებლობა იყოს ქმრისა და ცოლის აზრებს შორის. „მოჩვენებანი“ თითქოს პასუხს აძლევს ამ მორალისტებს. ზნეობით ცხოვრებას, თავისუფლების ტრფიალებას ჩვეულებრივ უპირისპირებენ ბედნიერებას და ამ ბედნიერების სახელით თხოულობენ გულისთქმის უარ-ყოფასა და თავისუფალ მისწრაფების უკან დაყენებას. ელენეს და ნორას ცხოვრება ერთნაირ პირობებში დაიწყო, გათხოვებამ ორივე ერთსა და იმავე მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად იმათ სხვა-და-სხვა გზა აირჩიეს. ნორამ წარბშეუხრელად და თამამად დაანება თავი შაბლონურ მორალის მიმდევარს საზოგადოებას, ელენემ კი გულში ჩაიმარხა თავისუფლების სიყვარული და ოცდა ცხრა წელიწადი იცხოვრა დაუსრულებელს სატანჯველში, თვალთ-მაქცობის და სიცრუის მორევში.

რა დაემართა ნორას, რა ნაყოფი გამოიღო იმასმა ზნეობითმა სიამაყემ—არ ვიცით, ამას იბსენი არ გვეუბნება, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ ელენემ მთელი თავისი სიცოცხლე უბედურებაში გაატარა. ელენეს ხანგრძლივი ტანჯვა იბსენის ფანტაზიის უნიადაგო ნაყოფი არ არის, პირიქით, ელენეს უბედურება საოცარის აუცილებლობით მომდინარეობს. ელენე მუდამ იმის ცდაშია, როგორმე უკანასკნელი წერტილი დაუსვას თავის საკუთარის და ქმრის ოჯახის ცხოვრების წარსულს, რომ ახალი, სიმართლეზე აშენებული, ბედნიერი ცხოვრება დაიწყოს, მაგრამ ამ სურვილს გზას უკრავს ობიექტიური კანონი აუცილებლობისა, რომელიც გარყვნილის ალვინგის შვილს შთამომავლობითის სიგიჟით აჯილდოვებს და თვით ელენეს მოჩვენებათა შიშით სტანჯავს. თუ უმთავრესი პირობა ბედნიერებისა სიმართლე და თავისუფლებაა, შეუძლებელია ბედნიერება მოიპოვოს იმან, ვინც ამ თავისუფლებასა და სიმართლეზე არ ამყარებს თავის მოქმედებასა და ცხოვრებას.

არ შეგვიძლიან რამდენიმე სიტყვით არ მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ „მოჩვენებანი“, როგორც დრამატიული ნაწარმოები, ტეხნიკის მხრივ დიდად დაახლოვებულია ბერძენთა უძველეს ტრაგედიასთან. როგორც კლასსიკურს ტრაგედიაში, იბსენის დრამაშიაც დაცულია პრინციპი ერთდროინდელობისა (принципъ единства времени); მოქმედება სწარმოებს განუწყვეტლად ორის დღის განმავლობაში და ამ ორს დღეში ირკვევა 29 წლის განმავლობაში განცდილი ბედი და უბედობა. გარდა ამისა, ბერძენთა ტრაგედიის საერთო ფონი წარმოადგენდა გმირის ბრძოლას უზენაესს განგებასთან; ყოველის ადამიანის ბედიღბალი, ბერძნების შეხედულებით, წინადვე, იმის დაბადებამდე გადაწყვეტილი იყო განგებისაგან. ტრაგედიის გმირს ჩვეულებრივ რაიმე უბედურება უნდა დასტეხოდა თავს, გმირმა იცოდა ეს და, მიუხედავად ამისა, მაინც იბრძოდა ბედნიერებისათვის. იბსენის დრამაში ჩვენ წინადვე ვიცით, რომ ელენე ბედნიერებას ვერ მიაღწევს, თითქმის თითონ ელენემაც კი იცის ეს, მაგრამ მაინც სცდილობს იმის მოპოვებას. კლასიკურ ტრაგედიისაგან იბსენის დრამას ის განასხვავებს, რომ აქ ადამიანი განგების ქვეშ არ იმყოფება და იმის ადგილი აუცილებლობის კანონსა და ზნეობით სიწმინდის სრულსა და უკუღმა მხრივ დაცვას უჭირავს.

ზანგი.

ბილეთების მიღებაზე უარი განაცხადეს. ჩრდილოეთ მანჯურიიდან ჩამოსულ ჩინელებს სჩრეკენ. სინწინტანის პოზიციებზე იაპონელები ართმევენ ჩინელებს რუსის ფულს. ბევრი ჩამოსული ჩინელი დაატყვევეს; რამდენიმე კაცი სიკვდილით დასაჯეს, სასამართლოში საქმის განუხილავად. ნიუ ჩუანში ლამე სჩრეკენ ჩინელთა სასტუმროებს. ჩინელებს, რომელთაც რუსის ფულს უნახავენ, დაუყოვნებლივ ატუსაღებენ. ჩინელები ძლიერ უკმაყოფილოდ არიან და მოუთმენლად ელიან რუსების დაბრუნებას. ეხლა წინანდელზე უფრო ნაკლებად მოდიან იაპონელთა ტრანსპორტები“.

მოსკოვი, 6 ოქტომბერი მოსკოვის ერობის რწმუნებული თავადი დოლგორუკოვი დეპეშით იუწყება მოწინავე პოზიციიდან: „მუკდენის ბრძოლის პირველ დღეებში ერობის სამი რაზმის ხელში სამი ათასმა დაჭრილმა გაიარა; ამ რაზმებმა საჭმელი მისცეს ათი ათასს კაცს. მოსამსახურენი ჯანმრთელად არიან და დაუღალავად მუშაობენ“.

პეტერბურგი, 7 ოქტომბერი. ვერხნეუდინსკის პირველ პოლკის უფროსს მაციევსკის ბოძა იაპონელებთან ბრძოლაში მამაცობისათვის წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი ხმლებით.

ჩიფუ, 7 ოქტომბერი. დალნიდან მოსულმა ჩინელმა სთქვა. 5 ოქტომბერს დალნში მოვიდა პრინცი კარლ ფონ-ჰოჰენცოლერნი. 5 ოქტომბერს ბუქსირით მიიყვანეს დალნში ნაღმიანი გემი „ხარუსამი“, რომელიც პორტ-არტურის მახლობლად ნაღმს წააწყდა და თავისით სიარული ველარ შესძლო. ამ ბოლო დროს დალნიდან ჩრდილოეთისკენ რამდენიმე მატარებელი გაიგზავნა. ამ მატარებელში ჯარი იყო. ყოველ დღე დალნში შედიან სურსათითა და საომარ მასალით დატვირთული გემები. პორტ-არტურს იაპონელები განუწყვეტლივ ესვრიან ყუმბარებს, თუმცა ისეთის ძალით არა, როგორც წინადაო.

შანხაი, 5 ოქტომბერი („დეილი ტელეგრაფი“). 6 ოქტომბერს რუსებმა ნელნელა დაიხიეს თავდასაცველ სიმაგრეებისაკენ. ეს სიმაგრეები მუკდენის სამხრეთითაა, ამ ქალაქიდან 10 მილის მანძილზე. კვირას ნოძუს მარცხენა რაზმის ხუთმა ბატალიონმა სდევნა რუსებს და წაართვა მათ ორი ზარბაზანი. ამ რაზმზე იერიში მიიტანა რუსის ჯარის 12 ბატალიონმა და უკან დასწია, ამასთან წაართვა 8 ზარბაზანი, აქედან ორი უთუოდ რუსების მიერ დატოვებულია.

სეული, 6 ოქტომბერი („დეილი ტელეგრაფი“). ნამდვილ წყაროებიდან იუწყებიან, რომ სამხინში მყოფი იაპონიის ჯარი ხენუენამდე მივიდა, მაგრამ რუსები ვერსადა ნახეს. ფიქრობენ, რუსები ტიუმენის ჩრდილოეთით წავიდნენ. იაპონელებს აზრადა აქვთ სეულში დიდი საავადმყოფო გამართონ.

ტოკიო. 6 ნოემბერი („ცენტრალ ნიუს“). რუსები მხნედ ამაგრებენ ადგილებს ოკუს პირდაპირ იაპონელთა მარცხენა ფრთაზე. როგორც გამოცხადებულია, იაპონიის მთავრობამ განთავისუფლა ტყვეობისაგან რუსის დაღუპულ კრეისერის „რიურიკ“-ის ხაზინადარი, რადგან იგი ძლიერ მოხუცი, 70 წლის კაცია.

ბერლინი, 7 ოქტომბერი. ბალტიის ფლოტმა გაიარა დღეს დიდ ბელტში. „ფოსიშე ცეიტუნგს“ ატყობინებენ კილიდან, რომ ბალტიის მთელმა ფლოტმა, 36 გემმა, გულსტავში დაიქირავა ლოცმანები და წაიღო იქიდან ნახშირი და ხორციო. რუსის გემებს კეთილ იმედის კონცხამდე ნახშირს მიაწვდის ჰამბურგ-ამერიკის სანაოსნო საზოგადოება.

პეტერბურგი, 7 ოქტომბერი. „რუსკ. ვედ.“-ი სწერს დღევანდელ ბრძოლის შესახებ და აღნიშნავს ოიამას დასუსტებას 2 ოქტომბრიდან. გაზეთის აზრით, ამ დასუსტების მიზეზი იაპონელთა დაღლილობა იყო და ამას გარდა ისინი ჰგრძნობენ, რომ უნაყოფოდ ჩაიარა ათი დღის ბრძოლამ, რომელმაც აუარებელი ხალხი გამოასალმა წუთი-სოფელსაო.

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს: „6 ოქტომბერს მტერთან შეტაკება არ მომხდარა. 5 ოქტომბერს ჩვენმა ცხენოსანმა რაზმებმა დაზვერეს ადგილები სანდეპუ-ხაი-ზენტაის მიდამოებში; იაპონელთა მოწინავე რაზმებმა სროლა აუტეხეს იმათ და საჩქაროდ უკან დაიწიეს. ჩვენი ცხენოსანი მზვერავები გამოუდგნენ და სანდაპუს წააწყდნენ იაპონელთა დიდ ქვეითა ჯარს. ტყვიის-მტყორცნელებითა და არტილერიით. იაპონელებმა სროლა აუტეხეს ჩვენ ცხენოსნებს და აიძულეს მოესპოთ დევნა. პოდესაულის ტურგენევის ერთ მზვერავ რაზმს ასი ნაბიჯის მანძილზე ტყვიის მტყორცნელები დაუშინეს იაპონელებმა და ყაზახებს ყველა ცხენი მოუკლეს. დაჭრილმა ტურგენევმა ერთი დაჭრილი მზვერავი შემოიგდო ცხენზე და გადაარჩინა.

ჩიფუ. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: მგლისა და მწვანე გორებისა და დაგუშანის აღებას შემდეგ იაპონელები რუსების უმთავრეს სიმაგრეებს მიუახლოვდნენ. ციხის გარშემო ადგილები ახლა სულ იაპონელებს უჭირავთ გარდა სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მდებარე ადგილისა, რომელსაც რუსები ლიაოტეშანის ფორტებიდან ზარბაზნებს უშენდნენ. 21 და 24 აგვისტოს რუსის პოზიციების შტურმი გამარჯვებით არ დასრულდა; იაპონელები ახალ შტურმისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ საიმპერატორო მთავარმა სადგომმა შტურმის ნება არ მისცათ, რადგან დიდ მსხვერპლს მოერიდა. იაპონელების უმთავრესი პოზიცია მგლის გორიდან დაგუშანამდეა გაბმული. საალყე ზარბაზნები კიდევ მიაქვთ დალნიდან გენზანში, სადაც ბევრ ჯარსაცა ჰგზავნიან. წინად ეს ჯარი დალნიში გასაგზავნად იყო დანიშნული.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 ოქტომბერი

არიოლი. მაზრის საერობო კრებამ მიიღო გამგეობის წარმომადგენლის წინადადება სასოფლო კომიტეტების დაარსების შესახებ. დაადგინეს, სთხოვონ საგუბერნიო საკრებულოს ნებართვა საერობო გაზეთის გამოსაცემად.

კუზნეცკი. საერობო კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს სასკოლო სამზრუნველოთა დაარსების შესახებ.

ორშა. მზრუნველისა და გუბერნატორის თანადასწრებით აკურთხეს ქალაქის მიერ აგებული დიდი შენობა საქალებო გიმნაზიისათვის.

პეტროზავოდსკი. საერობო კრებამ დაამტკიცა პროექტი მაზრაში საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ და დაადგინა, მასწავლებლებს თანდათან მოემატოთ ჯამაგირი.

დონის როსტოვი. განუწყვეტლივ ჰქრის აღმოსავლეთის ქარი და მდინარემ ძლიერ იკლო. გემები ვერ მიდიან როსტოვიდან ზღვაში. ვაჭრები ძლიერ ზარალობენ. სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე დიდძალი პურია თავმოყრილი.

გიბრალტარი. მაროკკოს ნაპირებთან ერთმანეთს დაეჯახა ანგლიის ორი კონტრ-ნაღმოსანი გემი. ერთი მათგანი ძლიერ დაზიანდა, მეორეს შუბლი აქვს ჩამტვრეული. ორივე გემი გიბრალტარს მოვიდა.

სტამბოლი. მსოფლიო პატრიარქის მდგომარეობა სინოდში მეტად ძნელია, რადგან სინოდის წევრები არაფერს უთმობენ კუცოვალახთა და ბოსნიელთა შესახებ საკითხების გადაწყვეტის დროს. ფიქრობენ, რომ იოაკიმე მესამე დაუყონებლივ გადადგება სამსახურიდან.

ბორდო. ადგილობრივ რკინის გზის სადგურთან სწრაფი და სამგზავრო მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. დაიჭრა 12 მგზავრი.

პარიზი. გაიხსნა კელტ-სლავიანთა კავშირის საერთო სხდომა. საორგანიზაციო კომიტეტმა საუზმე გამართა. რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა. მოსკოვის სლავიანთა საზოგადოების თავჯდომარემ ჩერეპ-სპირიდოვიჩმა სთქვა, კავშირის მიზანია აღადგინოს რუსეთ-საფრანგეთის კანონიერი გავლენა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და ევროპის მშვიდობიანობა განამტკიცოსო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 6 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	418
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	320
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	269
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	242½ „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 2 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანიდან: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში-

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ვოკზლის პირდაპირ, სახლი მელიქ-კარაგეზოვისა,

ახლად გახსნილ **რძის მაღაზიაში „ჰიგიენა“**

იყიდება ხელმისაწვდენ ფასად ახალი საქონელი. მსურველს შეგვიძლიან შინ გავუგზავნოთ რძე, თუ დღეში ორ ბოთლზე ნაკლებს არ დაიკვეთს. (3—340—2)



СѢДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬ

Безъ конкуренціи

продаются всевозмож. сѣдла

მიხაილოვის პრ. სახლი ჯაფოვისა, № 92, სახაზინო სტომატოლ. ახლოს. (9.—170—62)

ქუთაისში

კბილის ექიმი

დავით ს.-ძე რიჟინაშვილი

პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ, საღამოს 5—7 საათ. (30—3512—26)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაუნება, პროფეს. გ. ყიფშიძისა		
რძე, მისივე		
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიკ სენკევიჩისა		
დასტურ-ლამა		
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა		
ფიზიოლოგია—ფოსტერისა		
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ქვანკულოვისა	1	

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლეს პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** **რველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 წოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგი ცეცდათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშ ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკრო კოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადა დებ სენით და სულით ავადმყოფებს ს კურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვ და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის პროგრამმა:

1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) აღმოჩენათა და მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები. 5) სათამაშონი, გასართობი; რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარრიკატურები და სხვ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) მკითხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

გამომცემელი ჟურნალისა **ქნ. ნინო ე. ქობულაშვილი.** რედაქტორები { **ქნ. ელ. დ. ერისთავისა.** **ნინო ნიკ. ზურაბიშვილი**

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურია

ხელის მოწერა მიიღება:

რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(ზ. 0—11) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛ

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ქალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

Grand p x)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკ

რეზინის მაი

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშე

ყიდვის დროს ხ

ყურადღება მიაქციო

ლოშის ძირზე ნიშ

განსაკუთრებით ამხან

ბის დაარსების წელ

„1860“ და ს

„С.-Петербург

წითელ სამკუთხე

ბრიკის ნიშანი)

ნარდით ვაჭრო

აწარმოებენ ხელ

შრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ს. [illegible], მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, [illegible] ტაშკენტში. და ტფილისს

(60—54)

Дозволено цензурою, 7 октября 1904 г. სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბა“. Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.